ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
ბრძანება
G E O R G I A
CHAIRMAN OF THE ASSEMBLY OF MESTIA MUNICIPALITY
ORDER

ბრძანება:**ბ135. 135223571**
თარიღი:**23/12/2022**

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეებზე ფულადი დანამატის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"–ს 35–ე მუხლის, პირველი პუნქტის ,,ო" ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის ,,საჯარო სამსახურის შესახებ" 37-ე მუხლის, მე-2 პუნქტისა და ,,პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის N-220 დადგენილების მე-15 მუხლის ,,ბ" პუნქტის შესაბამისად:

ვბრძანებ:

1. გაიცეს, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეებზე ფულადი დანამატი ხელფასის 80%-ს ოდენობით (დანართი #1)-ის შესაბამისად.

2. დაევალოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურს უზრუნველყოს ფულადი დახმარებისთვის საჭირო თანხის დროული გამოყოფა.

3. მიღებული ბრძანების შესახებ ეცნობოს მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურს.

4. ბრძანება ამოქმედდეს ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 54–ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გაცნობისთანავე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 180–ე მუხლის პირველი ნაწილის და ,,ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის'' 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში **(მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N–12**).

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დ. მესტია/T. MESTIA. სეტის მოედანი #1/SETI SQUARE #1 ტელ: +995 599 85 55 40
ელ. ფოსტა: MESTIASAKREBULO@GMAIL.COM ვებგვერდი: WWW.MESTIA.GOV.GE

დ. მესტია/T. MESTIA. სეტის მოედანი #1/SETI SQUARE #1 ტელ: +995 599 85 55 40
ელ. ფოსტა: MESTIASAKREBULO@GMAIL.COM ვებგვერდი: WWW.MESTIA.GOV.GE